

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



## ტრენინგი იურისტების, სისხლის სამართლის ადვოკატებისა და კონსულტანტებისათვის

27-28 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობით დაბა გუდაურში გაიმართა ორდღიანი ტრენინგი რომელიც, დაეთმო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემატიკას. კერძოდ, “ტრეფიკინგის მსხვერპლსა და იურისტს შორის ურთიერთობის სპეციფიკას”. ტრენინგს უძღვებოდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი და კონსულტანტი კრისტინ დადეი.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მომუშავე იურისტები, სისხლის სამართლის ადვოკატები და კონსულტანტები. აგრეთვე, ტრენინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა სახელმწიფო ფონდის, მობილური ჯგუფის წევრები.

ტრენინგზე განხილულ იქნა: ადამიანით ვაჭრობის, ტრენინგის მსხვერპლებთან და მოწმეებთან ურთიერთობის სახელმძღვანელო პრინციპები იურიდიული დახმარების მიმწოდებელთათვის, რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები ტრენინგის მსხვერპლთა დასახმარებლად, საქმის მენეჯმენტი და რეფერალური სისტემა, მსხვერპლისათვის ინტერვიუს ჩატარების ტექნიკა, ბავშვებთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ტრენინგი განხორციელდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით.